სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/65'

ქ. თბილისი 15 ივნისი 2022 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოების თავმჯდომარეების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე და 30-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 და 26-ე მუხლების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 მაისის N 01-05-04/42 დადგენილებით დამტკიცებული საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის საინჟინრო, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს 2022 წლის 15 ივნისის სხდომის №3 ოქმის, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს 2022 წლის 15 ივნისის სხდომის №2 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 15 ივნისის №01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საინჟინრო, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებული იქნას პროფესორი **დავით გურგენიძე.**
2. ჰუმანიტარულ-სოციალური საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებული იქნას პროფესორი **ჯემალ გახოკიძე.**
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**